



სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტანდენციები საქართველოში

ჯაბა ჩხარტიშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახ-
ელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში დახასიათებულია საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარების კანონზომიერებები, ახსნილია მისი ციკ-
ლური განვითარების ბუნება და გამოვლენილია დაზღვევის
ცალკეული სახეობების მნიშვნელობა და განვითარების ტე-
ნდენციები. აღნიშნულია, რომ დაზღვევის ცვალებადი ხასიათი
ციკლური განვითარებისა და ეკონომიკური და ინსტიტუციუ-
რი ცვლილებების ადექვატური ასახვაა. სადაზღვეო ბაზარი
რეცესიულ მდგომარეობაშია, მაგრამ დარჩა მაღალმომგებიან
სფეროდ, რომლის პოტენციალური შესაძლებლობები სრულად
არ არის გამოყენებული.

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო ბაზარი, სადაზღვევო
პროდუქტი, მშპ.

ძირითადი ნაწილი


საქართველოს სადაზღვევო ბაზარი არის განვითარებადი
სფერო, რომელიც ციკლურად ვითარდება. საქართველოს სა-
დაზღვევო კომპანიების წილი მთლიანად ფინანსურ ბაზარზე
მცირეა. ძირითადი წილი ეკუთვნის ბანკებს, რომელთა აქტი-
ვები აღემატება სადაზღვევო კომპანიების აქტივებს თითქმის
50-ჯერ.

სადაზღვევო ბაზარმა განვითარების მაქსიმალურ წერტილს
2012 წელს მიაღწია. შემდგომ პერიოდში კი, სახელმწიფო სა-

დაზღვევო სისტემის განვითარების შედეგად (ძირითადად ჯანმრთელობის დაცვის სფეროში), მოზიდული პრემიების რაოდენობა და მოგება მნიშვნელოვნად შემცირდა.

დღესდღეობით საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოზიდული კაპიტალი და პრემიები უმნიშვნელოა ეკონომიკის განვითარებაში, რამდენადაც მათი წილი მშპ-ში ძალიან დაბალია, თუმცა ეს როლი მართალია ცვალებადია, მაგრამ მზარდია. პრემიების წილი მშპ-ში იცვლება ამ სექტორის განვითარების შესაბამისად. 2015 წელს მისი წილი შეადგენდა მხოლოდ 1.4 პროცენტს, მაშინ როდესაც OECD-ს ქვეყნებში მისი წილი შეადგენს 8.7 პროცენტს.¹

გრაფიკი 1



წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. <http://insurance.gov.ge/>; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>

განვითარებულ ქვეყნებში მაღალია დაზღვევის დაფარვა, ანუ ცოტაა დაუზღვეველი ობიექტი, მოქმედებს სავალდებულო დაზღვევები და მაღალია სადაზღვევო კულტურა. ამ

¹ OECD Data. <https://data.oecd.org/insurance/insurance-spending.htm>

უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების დაბალი სიდიდეები საქართველოში გამოწვეულია ქვეყნის მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობით, რისკების მართვის დაბალი კულტურით, სავალდებულო დაზღვევის სახეობების არარსებობით და საპენსიო/ სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განუვითარებლობით.¹ მოსახლეობის ერთ სულზე პრემიის დაბალი მაჩვენებელი და სადაზღვევო ინდუსტრიის მშპ-ში დაბალი წილი მიგვანიშნებს იმაზეც, რომ სადაზღვევო ბაზარს აქვს დიდი პოტენციალი.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ყველაზე დიდი წილი ჯანმრთელობის დაზღვევას უკავია. შემდეგ მოდის ქონების დაზღვევა და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა. საქართველო გადაიქცა სატრანსპორტო დერეფნად და ავტომობილების და სხვ ტრანსპორტის სავაჭრო კვანძად, რის შედეგადაც ამ სახეობის დაზღვევამ მიიღო გარკვეული უპირატესობები.

თუ შევადარებთ 2015 წელს სადაზღვევო სახეობების წილს 2010 და 2007 წლებთან, მაშინ აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო ბაზარი არ არის მნიშვნელოვნად შეცვლილი. ყველა პერიოდში ჯანმრთელობის დაზღვევას ეკავა პრიორიტეტი, თუმცა მისი სიდიდე ძალიან ცვალებადი იყო. 2010 წელს მისი წილი ბაზარზე შეადგენდა 68 პროცენტს, 2007 წელს -37.9 პროცენტს, ხოლო 2015 წელს კი შეადგინა 42.8 პროცენტი. სხვა დაზღვევის სახეების წილი სადაზღვევო ბაზარზე მერყეობდა 4-15 პროცენტის ფარგლებში. უკანასკნელ პერიოდში სწრაფად გაიზარდა ქონების დაზღვევა, რომელმაც შეადგინა ბაზრის 19.3 პროცენტი.

ანაზღაურებული ზარალი წილი წლების განმავლობაში თითქმის იდენტურია. მათი წილი მოზიდულ პრემიებში შედარებით მცირეა. გადაზღვევებში კი ყველაზე მეტად ანაზღაურებული ზარალი ტვირთების გადაზიდვაზე მოდის.

სტატისტიკური მაჩვენებლებიდან შეიძლება დავასკვნათ,

¹ გიორგი გიგოლაშვილი, საქართველოს სადაზღვევო ბაზარი 2015: ფაქტები და შესაძლებლობები. დეკემბერი, 10, 2015, <http://forbes.ge/news/1003/saqarTvelos-sadazRvevo-bazari-2015>

რომ სადაზღვევო ბაზარზე დომინანტურ როლს თამაშობს ჯანმრთელობის დაზღვევა. ქონების და სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევას (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა) აქვს მნიშვნელოვანი წილი სადაზღვევო ბაზარზე, რაც განპირობებულია საქართველოს ეკონომიკურ-დარგობრივი თავისებურებით.

დარგებში, სადაც მშპ-ს ზრდა საშუალო ზრდის ტემპს აღემატება, დაზღვევა განვითარებულია. ტრანსპორტისა და ვაჭრობის განვითარება ზრდის მათზე სადაზღვევო მოთხოვნას. მართალია მათ შორის პირდაპირი კორელაციური კავშირი არ არსებობს, მაგრამ ზოგადად ეკონომიკის განვითარებასთან ერთად სადაზღვევო ბაზრის განვითარებას შორის კავშირი ნამდვილად შესამჩნევია.


გარდა ამისა, დარგების ინსტიტუციური რეგულირება ასევე ზემოქმედებს სადაზღვევო ბაზრის განვითარებაზე. ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარებამ მოითხოვს აგროდაზღვევის დანერგვა. ამას სახელმწიფო ინიცირებს. მიუხედავად იმისა, რომ მშპ-ს ზრდა სოფლის მეურნეობაში საშუალო მაჩვენებელზე უფრო დაბალია, ამ სფეროში სადაზღვევო ბაზრის წილი თანდათანობით იზრდება. სანინალმდეგო ტენდენციას აქვს ადგილი ფინანსური ვალდებულებების დაზღვევაში. საფინანსო საქმიანობა ძალიან სწრაფად ზრდადია, ხოლო ამ სფეროში შესაბამისი სადაზღვევო საქმიანობა შეზღუდულია. საფინანსო კოლაფსების დიდ რისკი ვალდებულებების შესრულებისას არამიზნობრივს ხდის სადაზღვევო კომპანიებისათვის ამ რისკების დაზღვევას.

სადაზღვევო სექტორი მაღალმომგებიანია. ამას ადასტურებს მოგების მაღალი ნორმატი. 2008-2015 წლების განმავლობაში მისი ყოველწლიური საშუალო მოგება 60 მლნ. ლარს აღემატებოდა. სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევაში მოგების წილი განსხვავებულია. იგი გაცილებით მაღალია არასიცოცხლის დაზღვევაში

მოგება (ზარალი) და მოზიდული პრემიები
სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევაში (%)

	2015	2014	2013	2012	2011	2010	2009	2008
მოგების (წმინდა) თანაფარდობა მოზიდულ პრემიასთან (სიცოცხლე)	16.69	26.88	11.94	8.11	11.44	27.09	20.82	7.76
მოგების (წმინდა) თანაფარდობა მოზიდულ პრემიასთან (არასიცოცხლე)	59.90	72.28	53.65	55.36	63.86	53.27	46.45	29.75
მოზიდული პრემიების თანაფარდობა (სიცოცხლე/ არასიცოცხლე)	7.60	5.36	2.58	4.31	4.62	2.61	2.70	4.83
მოგების (წმინდა) თანაფარდობა (სიცოცხლე/ არასიცოცხლე)	27.29	14.42	23.14	29.43	25.81	5.14	6.02	18.53


2008-2015 წლებში მოგება საშუალოდ მოზიდული პრემიის 61 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როდესაც სიცოცხლის დაზღვევაში მისი წილი 16.3 პროცენტია. შესაბამისად, ძირითადი აქცენტი ბაზარზე არასიცოცხლის დაზღვევაზე კეთდება. გარდა ამისა, სიცოცხლის დაზღვევა არასტაბილურობით და ცვალებადობით გამოირჩევა. 2009- 2010 და 2014 წლებში მოგებამ შეადგინა 20 პროცენტზე მეტი, ხოლო დანარჩენ წლებში კი იგი მას ორჯერ და მეტად ჩამორჩებოდა. ანალოგიური შეიძლება ითქვას არასიცოცხლის დაზღვევაზეც. მთლიანობაში კი დაზღვევის ცვალებადი ხასიათი ციკლური განვითარებისა და ეკონომიკური და ინსტიტუციური ცვლილებების ადექვატური ასახვაა.



სადაზღვევო კომპანიები არ გამოირჩევიან ფინანსურ ბაზარზე კაპიტალიზაციის მაღალი მაჩვენებლებით. სადაზღვევო კომპანიები ინვესტიციებს ქმნიან რეზერვების ხარჯზე, რომლის საინვესტიციო შემოსავალი მართალია ცვალებადია, მაგრამ მზარდი ტენდენცია აქვს. იგი იცვლება იმის მიხედვით, თუ რა გლობალურმა შოკებმა მოახდინა ზეგავლენა საქართველოს საფინანსო ბაზარზე. 2009 წელს გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და 2015 წელს კი ლარის 41 პროცენტით გაუფასურებამ მნიშვნელოვნად შეამცირა კომპანიების საინვესტიციო შემოსავლები (იხ. გრაფიკი 3).

საინვესტიციო შემოსავლები ფორმირდება ძირითადად საკრედიტო დანესებულებებში განთავსებული დეპოზიტებიდან და შვილობილ კომპანიებში დაბანდებული კაპიტალიდან. ეს წყაროები უცვლელია და მოსალოდნელია, რომ ეს ტენდენცია კვლავ გაგრძელდეს მომავალშიც.

სადაზღვევო ბაზარზე კომპანიებს ცვალებადი, მაგრამ მზარდი შემოსავლების ტენდენცია აქვს. ეს გარემოება განსხვავებულად არის ასახული საპენსიო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლების დინამიკაში. მას სრულიად განსხვავებული



ტენდენცია ახასიათებს. გარდა იმისა, რომ იგი არასტაბილურია, გარკვეულ პერიოდებში მას უარყოფითი ტენდენციაც ჰქონდა. საპენსიო შემოსავლები 2010-2012 წლებში უარყოფითი იყო და 2008-2013 წლების განმავლობაში მას ჰქონდა კლების ხასიათი. 2013 წლიდან დაწყებული ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები იზრდება, რაც განპირობებულია როგორც საპენსიო შემოტანების ზრდით, ასევე 2013-2014 წლები საპენსიო სქემებში მონაწილეთა რაოდენობის ზრდით.

სადაზღვევო ბაზრების მკვლევარები საპენსიო საქმიანობიდან მიღებულ მცირე შემოსავლებს უკავშირებს საკომისიო ხარჯების ზრდას და მიუთითებენ ამ ხარჯების მზარდ ხასიათზე.¹

¹ თეონა ელიაშვილი, თენგიზ ვერულავა (2015). სადაზღვევო კომპანიების, როგორც საქართველოს ეკონომიკის ინვესტირების წყაროს გამოყენების პერსპექტივები. ჟ. "ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა". N 1, 2015. <http://hepoins.com/index.php/component/k2/item/35-insurance>

წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
სულ პრემია (მლნ ლარი)	194.6	253.5	295.8	230.7	296.5	436.3	276.4	246.5
არასიცოცხლე, პრემია (ნეტო)	189.0	247.9	290.2	220.1	284.6	423.3	262.5	227.9
არასიცოცხლე, პრემიის წილი	97.1	97.8	98.1	95.4	96.0	97.0	95.0	92.5
სიცოცხლე, პრემია (ნეტო) (მლნ)	5.5	5.6	5.6	10.5	11.9	13.0	13.8	18.5
სიცოცხლე, პრემიის წილი	2.9	2.2	1.9	4.6	4.0	3.0	5.0	7.5
სულ პრემიის ნომინალური ცვლილება (%)	63.8	30.2	16.7	-22.0	28.5	47.2	36.6	-10.8
ინფლაცია (საშუალო წლიური, დეკემბერი)	10	1.7	7.1	8.5	-0.9	-0.5	3.1	4
სულ პრემიის რეალური ცვლილება	73.8	31.9	23.8	-13.5	27.6	46.7	-33.5	-6.8
არასიცოცხლის დაზღვევის ცვლილება (ნომინალური)	65.9	30	17	-24.2	29.2	48.7	-38	-13.2
არასიცოცხლის დაზღვევის ცვლილება, რეალური	75.9	31.7	24.1	-15.7	28.3	48.2	-34.9	-9.2
მშპ-ს ცვლილება (ნომინალი, %)	12,2	-5,7	15,3	17,3	7,4	2,6	8,5	8,7
მშპ-ს ცვლილება, არეალური (%)	2,4	-3,7	6,2	7,2	6,4	3,4	4,6	2,8

როგორც ცხრილიდან ჩანს (ცხრილი 2), 2008-2015 წლებში მოზიდული პრემია ნომინალურად გაიზარდა 26,6 პროცენტით,

მაგრამ რამდენადაც ინფლაციამ შეადგინა საერთო ჯამში 33 პროცენტი, შესაბამისად რეალურად პრემიებიდან მოზიდული სახსრები შემცირდა 6.4 პროცენტით. სრულიად სხვა მდგომარეობას ჰქონდა ადგილი 2013 წლამდე, მანამ სანამ სახელმწიფო შემოიღებდა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევას და მისი პროგრამების მართვას თავის ხელში აიღებდა. 2008-2013 წლებში პრემიები ნომინალურად გაიზარდა 224 პროცენტით და რეალურად კი 191 პროცენტით. 2013-2015 წლებში სადაზღვევო ბაზრის დაცემამ რეალურად შეადგინა 184.6 პროცენტი. ეს გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ სადაზღვევო ბაზარი ღრმა რეცესიულ მდგომარეობაშია.

ცნობილია, რომ არსებობს დადებითი კორელაცია მშპ-ს და დარგების დაზღვევას შორის, ანუ მშპ-ს ზრდასთან ერთად იზრდება პრემიებიც, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ინსტიტუციური ცვლილებები და რეფორმები დადებითად მოქმედებს დარგის განვითარებაზე.

2008-2015 წლებში საქართველოში რეალურად ეკონომიკა გაიზარდა 29 პროცენტით (ნომინალურად - 66 პროცენტით). ბოლო პერიოდში კი კერძო სადაზღვევო სისტემა აღმოჩნდა რეცესიულ მდგომარეობაში. ამის ახსნა მხოლოდ ქვეყანაში განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებებით შეიძლება.

შესაბამისად სადაზღვევო კომპანიების პორტფელიც იცვლებოდა. 2008-2015 წლებში შემცირდა არასიცოცხლის კატეგორიაში მოზიდული პრემიების წილი 4.6 პროცენტით, ხოლო სიცოცხლის კატეგორიაში მოზიდული პრემიების წილი კი გაიზარდა. ეს გარემოება ნომინალურად აისახა შემოსავლებშიც. არასიცოცხლის კატეგორიაში პრემიები ნომინალურად გაიზარდა 17 პროცენტით, ხოლო სიცოცხლის კატეგორიაში კი - 62 პროცენტით. სხვა სიტუაციას ჰქონდა ადგილი 2008-2013 წლებში. არასიცოცხლის კატეგორიაში პრემიები გაიზარდა 44,6 პროცენტით, ხოლო სიცოცხლის კატეგორიაში კი - 52,8 პროცენტით.

რეალურად ინფლაციის გათვალისწინებით არასიცოცხლის კატეგორიაში მოზიდული პრემიები შემცირდა -2,9 პროცე-

ნტით, ხოლო სიცოცხლის კატეგორიაში კი გაიზარდა 49.9 პროცენტით.

ამდენად, სადაზღვევო კომპანიები 2013 წლიდან დადგნენ ახალი რეალობის წინაშე. მათი მთავარ გამოწვევად იქცა საყოველთაო სამედიცინო პროგრამების სახელმწიფო მართვა. კომპანიების შეუმცირდათ დაზღვევს ამ სახეობიდან მიღებული შემოსავლები, რის შედეგადაც მათი პრემიებიდან მოზიდული მთლიანი თანხები შემცირდა 1.7-ჯერ.

თუ შევადარებთ სხვა მაჩვენებლებს, მსოფლიო ბაზრებზე არასიცოცხლის კატეგორიას უკავია მნიშვნელოვანი პოზიცია პრემიებში და შეადგენს სულ მოზიდული პრემიების 44 პროცენტს, ხოლო სიცოცხლეს კი - 56 პროცენტი. ამდენად სიცოცხლის დაზღვევას აქვს დომინირებული როლი.¹

ამასთან მსოფლიოში პრემიები შეადგენენ მშპ-ს 6.23 პროცენტს და მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 621 აშშ დოლარი, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი შეადგენს შესაბამისად მშპ-ს 0.11 პროცენტს და მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 41 აშშ დოლარი.²

ცხრილი 3

მოზიდული პრემიები ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	პრემია (მოსახლეობის ერთ სულზე)	ქვეყანა	პრემია (მშპ-ს %)
შეიცარია	7370.3	ტაივანი	18.97
ჰონკ-კონგი	6271.2	ჰონკ-კონგი	14.76
ლუქსემბურგი	5401.3	სამხრეთ აფრიკა	14.69
ფინეთი	4963.2	ფინეთი	11.86
დანია	4914.2	სამხრეთ კორეა	11.42
პოლანდია	4763.1	იაპონია	10.82

1 World Insurance Marketplace. Insurance information Institute. <http://www.iii.org/publications/insurance-handbook/economic-and-financial-data/world-insurance-marketplace>

2 გათვლილია 4.3 მლნ მოსახლეზე.

ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო	4358.5	ჰოლანდია	10.72
აშშ	4095.8	ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო	9.97
ტაივანი	4094.1	დანია	9.43
სულ მსოფლიო	621.2	სულ მსოფლიო	0.0623

წყარო: World Insurance Marketplace. Insurance information Institute.
<http://www.iii.org/publications/insurance-handbook/economic-and-financial-data/world-insurance-marketplace>

სადაზღვევო პროდუქტების მნიშვნელობის განსაზღვრისას ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მატრიცის გამოყენების შედეგად შეგვიძლია შევაფასოთ დინამიკაში სადაზღვევო პროდუქტების საბაზრო წილის ცვლილებები და დავადგინოთ, თუ რამდენად ცვალებადია ბაზარი, დაზღვევის რომელი სახეობები იცვლება ციკლის განმავლობაში და რომელ ფაზაში იმყოფება პროდუქტი. მნიშვნელობის დასადგენად გამოვიყენებთ ბაზრის წილის მიხედვით პროდუქტების განლაგებას 0-დან 5-მდე.

ცხრილი 4

მნიშვნელობა	ბაზრის წილი	ზრდის კოეფიციენტი
ძალიან მაღალი	50%-ზე მეტი	5-ზე მეტი
მაღალი	40-50%	3-დან 5- მდე
საშუალოზე მაღალი	30-40%	2-დან 3-მდე
საშუალო	20-30%	1.5-დან 2-მდე
საშუალოზე დაბალი	10-20%	1-დან 1.2-მდე
დაბალი	5-10%	0.5დან 1-მდე
ძალიან დაბალი	0-5%	0-დან 0.5-მდე

სადაზღვევო ბაზარზე დაზღვევის თითოეული სახეობის შესაფასებლად გამოვიყენეთ შემდეგი მაჩვენებლები: ბაზრის წილი (საშუალო 2007-2015 წლებში) და პრემიების ზრდის კოეფიციენტი.

ცხრილი 5

	ბაზრის წილი	შემოსავლების ზრდის კოეფიციენტი
სამედიცინო დაზღვევა	58.84	3.4
ქონების დაზღვევა	13.07	3.3
სიცოცხლის დაზღვევა	4.43	5.1
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	10.23	3.2
ფინანსური რისკების დაზღვევა	1.38	0.1
ტვირთების დაზღვევა	1.25	1.5
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	2.92	3.4
საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	1.22	1.5
უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა	1.8	0.6

სადაზღვევო სახეობების საბაზრო მნიშვნელობა ზრდის ტემპებისა და საბაზრო წილის მიხედვით შეფასების შედეგად ჩვენი მივიღეთ შემდეგი სურათი: (იხ ცხრილი 6).

დასკვნა

ამგვარად, ჯანმრთელობის დაზღვევა დღესდღეობით სადაზღვეო ბაზარზე ყველაზე სწრაფად მზარდია. აქვს მაღალი წილი და პერსპექტივაში არის მზარდი ბაზრის მქონე პროდუქტი, მაგრამ საჭიროებს დიდ მხარდაჭერას ბაზარზე მიმდინარე მდგომარეობის შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად; სიცოცხლის დაზღვევა და ქონების დაზღვევა, ისევე როგორც სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (რკინიგზის გარდა), მიუხედავად ზრდის დაბალი ტემპისა, აქვთ მაღალი წილი ბაზარზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სფე-

დაზღვევის სახეობა	ბაზრის წილი	შემოსავლების ზრდის კოეფიციენტი (ზრდის ტემპები)	დაზღვევის სახეობის მნიშვნელობა
სამედიცინო დაზღვევა	ძალიან მაღალი	მაღალი	ძალიან მაღალი
ქონების დაზღვევა	საშუალოზე დაბალი	მაღალი	საშუალო
სიცოცხლის დაზღვევა	ძალიან დაბალი	ძალიან მაღალი	საშუალო
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	საშუალოზე დაბალი	მაღალი	საშუალო
ფინანსური რისკების დაზღვევა	ძალიან დაბალი	ძალიან დაბალი	ძალიან დაბალი
ტვირთების დაზღვევა	ძალიან დაბალი	საშუალო	დაბალი
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	ძალიან დაბალი	მაღალი	საშუალოზე დაბალი
საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	ძალიან დაბალი	საშუალო	დაბალი
უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა	ძალიან დაბალი	დაბალი	დაბალი

როში საკმაოდ მაღალი კონკურენციაა. მათ აქვთ ნელი მზარდი ბაზარი. ეს პროდუქტი კონკურენტუნარიანია და შეუძლია დიდი თანხების მოზიდვა; მისი ზრდის ტემპი დაბალია, მაგრამ პოტენციური სახეობაა, რომლის საბაზრო წილიც იზრდება. სიცოცხლის დაზღვევა არის ერთადერთი პროდუქტი, რომლის შემოსავლიანობის ზრდა ყველაზე მაღალია, შესაბამისად იგი არის პერსპექტიული და მოთხოვნადი პროდუქტი. სიცო-

ცხლის დაზღვევაში სამედიცინო დაზღვევასთან კომბინირებული პოლისების განვითარებამ შეიძლება უზრუნველყოს ბაზარზე მათ მაღალი მნიშვნელობა.

სხვა დანარჩენი სადაზღვევო სახეობების განვითარება გამოირჩევა დაბალი წილითა და დაბალი ზრდის ტემპებით, თუმცა მათ განვითარებას აქვს პოტენციური ხასიათი. ზოგიერთი მათგანის ზრდა დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარებაზე. ტვირთების გადაზიდვა ხასიათდება დაბალი ზრდითა და ბაზარზე დაბალი წილით. მარკეტინგული სტრატეგიით შესაძლებელია ამ პროდუქტის განვითარება და ბაზარზე მისი წილის გაზრდა. ფინანსური რისკების დაზღვევა კი რჩება განვითარებულ ბაზრად, რამდენადაც იგი საკმაოდ რისიკიანი სადაზღვევო კომპანიებისათვის. საბანკო კაპიტალის დომინირებული როლი და ბანკების მიერ ერთმანეთთან გამოყენებული სადაზღვევო ინისტრუმენტები, მცირე პერსპექტივას უქმნის სადაზღვევო კომპანიებს ამ სახეობის განვითარებაში.

INSURANCE MARKET DEVELOPMENT TRENDS IN GEORGIA

Jaba Chkhartishvili, PhD Student of The St. Andrew the First
Called Georgian University of Patriarchate of Georgia

RESUME

The article describes the characteristics of the development of the insurance market in Georgia, explains the cyclical nature of the insurance; It reveals a role of various kind of insurances and its development trends in the market. There should be noted that the changing nature of insurance is an adequate reflection of the cyclical development and economic and institutional changes. The insurance market is in a recession, but it still remains a high profitable sphere, whose potential possibilities are not fully exploited.

Key words: Insurance market, Insurance products, GDP.